**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის**
**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

01/11/2024

MES 0 24 0001405964

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლისა და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-12, მე-20, 21-ე მუხლების და 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მანანა ღარიბაშვილის სამსახურებრივი ბარათის (23/10/2024წ; N1370235) საფუძველზე:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები, უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში არსებული ვაკანსიების შევსების მიზნით, 2024 წლის 18 ნოემბერს შემდეგ ფაკულტეტებზე:

- ***ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*** - აკადემიური პერსონალის კვოტით 1 (ერთი) ვაკანტურ ადგილზე, სტუდენტის კვოტით 1 (ერთი) ვაკანტურ ადგილზე;
- ***აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი*** - სტუდენტის კვოტით 2 (ორი) ვაკანტურ ადგილზე.

**2.** უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 4 ნოემბრიდან და დასრულდეს 2024 წლის 13 ნოემბერს (10 კალენდარული დღე)

**3**. კანდიდატთა განცხადებების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე;
**4**. განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. შორენა ლაზარიაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. ნინო ვეფხიშვილი - უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი;
3. მარიამი ღარიბაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

**5.** დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნებთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
**6.** ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;
**7.** ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს;
**8.** დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
**9.** დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
**10.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
**11.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა